10293

ᲕᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲗᲔᲓᲘ

კომუნისტი

ᲡᲐᲥ. ᲙᲞ. Კ. (ᲑᲚ.) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲐᲮᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲐᲠᲒᲐᲜᲝ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲝᲠᲒᲐᲜ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲙ (ᲑᲚ.) ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲨᲠᲐᲮᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
1940 ᬋ.
№ 259 (5960)
ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲗ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

ᲓᲒᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ XXIII ᬋᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲬᲕᲓᲔᲜᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ, ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲛᲘᲡᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ. ᲖᲔᲒ ᲐᲗᲔᲣᲚ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲪᲮᲐᲓᲐᲮᲧᲝᲤᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲚᲔᲜᲘᲜ - ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲛᲘᲓᲘᲡ.

ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲚ.) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲣᲨᲘᲜ „ᲞᲠᲐᲕᲓᲐᲨᲘ“ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ, ᲨᲔᲛᲭᲘᲓᲠᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲔᲑᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲔᲡ. ᲡᲐᲙ. Კ. ᲞᲘ. (ᲑᲚ.) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲠᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ. ᲡᲐᲙ. ᲙᲐ. ᲞᲘ. (ᲑᲚ.) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ — ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲛᲔᲑᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲘᲛᲨᲕᲘᲓᲝᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲗ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲛᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲛᲝᲫᲦᲕᲔ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲐᲛᲐᲧᲔ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲠᲐᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲚᲔᲜᲘᲜ - ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲘᲗ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲑᲣᲙᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲜᲘ.

— ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲚᲘᲢᲕᲘᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ, ᲑᲔᲡᲐᲠᲐᲑᲘᲘᲡ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲑᲣᲙᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲘᲐᲓ ᲫᲕᲣᲠ ᲛᲬᲐᲮᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲫᲚᲔᲕᲐᲠ ᲛᲬᲐᲮᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲐᲓᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘᲐ. ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲘᲜᲒᲒᲐᲠᲨᲘ V ᲡᲔᲡᲘᲐ. ᲡᲔᲡᲘᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲐᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ԴԵՊՈՒՏԱՏՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԻՍՏԻ ՀԱՆԴԻՍԱՎՈՐ ՆԱԽԱԳԱՀԻ ՏԵՂԱԿԱԼ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ԴԵՊՈՒՏԱՏՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԻՍՏԻ ՀԱՆԴԻՍԱՎՈՐ ՆԱԽԱԳԱՀ

**ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԱՇԽԱՏԱՎՈՐՆԵՐԻ ԴԵՊՈՒՏԱՏՆԵՐԻ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԻՍՏԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ

ორდენოსანი საქართველოს მშრომელნი დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXIII წლისთავს ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან

გამოშვებულია 534.939 წყვილი ფეხსაცმელი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXIII წლისთავთან დაკავშირებით თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ ოქტომბრის გეგმა 106.8 პროცენტით შეასრულა. ფაბრიკას გეგმით უნდა გამოეშვა 500.700 წყვილი ფეხსაცმელი, ფაქტიურად გამოუშვა 534.939 წყვილი. აქედან პირველმა კორპუსმა გეგმით გათვალისწინებული 210.400 წყვილის ნაცვლად გამოუშვა 220.847 წყვილი, რაც გეგმის 105 პროცენტს შეადგენს. მეორე კორპუსმა, რომელიც გეგმას ვერაფერსდეს ასრულებდა, უხარისხო და არასტანდარტულ პროდუქციას უშვებდა, სათანადო ღონისძიებათა გატარების შედეგად (ხელმძღვანელობის შეცვლა და სხვ.) შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა და ოქტომბრის გეგმა 105,1 პროცენტით შეასრულა, ხარისხის მიხედვით კი 75 პროცენტით. კორპუსმა გეგმის ზვით 15.000 წყვილი ფეხსაცმელი დაამზადა წინ წაიწია მესამე სამკერვალო კორპუსმაც (უფროსი—ამხ. ჩქარეული). ეს საამქროც ყოველთვის ჩამორჩებოდა, არ იცავდა ხარისხს და უშვებდა წუნდებულ პროდუქციას. წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები დიდი გადამეტებით არის შესრულებული.

გორის საკონსერვო ქარხანამ ოქტომბერში 680 ათასის ნაცვლად 1.716 ათასი ქილა კონსერვი დაამზადა. სამკერვალო არტელმა ნაცვლად 16.500 მანეთისა, 46.061 მანეთის შეკერილი ტანსაცმელი გამოუშვა. მკერავმა დიასამოვმა ოქტომბრის დავალება 150 პროცენტით შეასრულა.

აღებული ვალდებულებები მთლიანად გაანაღდა სოფელ ოხერას ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც მიმდინარე წელს 50 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 75 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

850 ათასი მანეთის ნაცვლად 990 ათასი მანეთის პროდუქცია

არტელ „მკერავთა გაერთიანებამ“ (გამგეობის თავმჯდომარე ამხ. შ. გველესიანი) მიმდინარე წლის პირველ კვარტალშივე მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა, რის გამოც მას გადაეცა მკერავთა კავშირის გარდამავალი წითელი დროშა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებების შემდეგ არტელში კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

არტელის წევრები ჩაბმული იყვნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და თვალსაჩინო წარმატებაც მოიპოვეს. ოქტომბრის დიადი დღესასწაულისათვის წლიური საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. 850 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად ქვეყანას მისცეს 990 ათასი მანეთის პროდუქცია.

ვაღაზე 4 ღღით ადრე

ბათუმი, (ტელეფ. „კომუნისტის“ საკ. კორ.). ბათუმის ნავსადგურის გემთმშენებელი სახელოსნო წარმატებით ასრულებს წინასაოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და სასახელო მაჩვენებლებით ხვდება დიადი ოქტომბრის დღესასწაულს.

სახელოსნომ ვაღაზე 4 ღღით ადრე დაამთავრა თბომავალ „ბოლშევიკის“ კაპიტალური რემონტი და პირველი ნოემბრისათვის 145 პროცენტით შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა, 26 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და 11 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება.

ამჟამად სახელოსნო აწარმოებს თბომავალ „სტახანოვეცის“ რემონტს. კოლექტივი ენერგიულად იბრძვის, რათა ფართოდ გამოიყენოს „ბოლშევიკის“ რემონტის დროს მიღებული გამოცდილება უზრუნველჰყოს რემონტის მაღალხარისხოვნად და ვადამდე დამთავრება.

სარემონტო სამუშაოებზე განსაკუთრებით გამოირჩევა კომკავშირის სახელობის ზეინკალთა ბრიგადა, რომელიც დღეიურ ნორმებს ერთი-ორად ასრულებს; ბრიგადას ხელმძღვანელობს ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ზეინკალი ამხ. ზ. მიხაილოვი.

ხარატი ა. ოვანესიანი, შემდუღებელი მ. ჩაკვეტაძე და მ. კაუნიკოვი, მექვაბე ივ. გალუდაში, ჩამომსხმელები: ი. დვალიშვილი და თ. ხაჭაპურიძე სახელოსნოს მოწინავე ადამიანებად ითვლებიან. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ საოქტომბრო ვალდებულებებს.

ჰექტარზე აღებულია 8.200 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

მახარაძე, (საქდესი). ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმულნი უკრაინის სსრ კიევის შაჰრის მრეწველობის საკავშირო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ მუშაობაში.

მეცნიერმა მუშაკმა მირიან სიხარულიძემ დიდი მუშაობა შეასრულა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გასადიდებლად. სოფელ ზვანში საცდელად გაშენებულ ნაკვეთზე, რომელსაც თვით ამხ. სიხარულიძე ხელმძღვანელობს, მიმდინარე წლის 27 ოქტომბრისათვის ჰექტარზე საშუალოდ 8.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა, აქედან პირველი ხარისხის ჩაი 95,6 პროცენტს შეადგენს. ამას ამხ. სიხარულიძემ იმით მიაღწია, რომ 1934 წლიდან, ფოსფოროვან და აზოტოვან სასუქებთან ერთად, დროგამოშვებით ორგანული სასუქიც შეჰქონდა, ნაკვეთი მუდამ სავსებით გასუფთავებული იყო სარეველა ბალახებისაგან და ფოთლის განუწყვეტელი კრეფა სწარმოებდა. სამერმისოდ ამხ. სიხარულიძე ითვალისწინებს ჰექტარზე საშუალოდ 10 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი აიღოს ამ ნაკვეთზე.

წელს სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მე-11 ბრიგადამ ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ ჰექტარზე საშუალოდ 6000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფა.

ქუთაისის მოწინავე საწარმოები

ქუთაისი, 5 ნოემბერი (საქდესი). ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები მშრომელთა დიად დღესასწაულს საწარმოო წარმატებით ეგებებიან, რაც მათ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს. ოქტომბრის პროგრამა გადამეტებით შეასრულა კონსერვის ქარხანამ, რომელმაც 19.000 ქილა კონსერვი გამოუშვა გეგმის გადამეტებით. ტყავის ფეხსაცმლის კომბინატმა, სამკერვალო ფაბრიკამ და სხვ.

თბილისის რაიონის სოფ. ავჭალის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირები კოლმეურნეების დავალებით ხელს აწერენ უკრაინის კოლმეურნეებისადმი გასაგზავნ წერილს. ფოტო ვლ. გინზბურგისა

პროფორგანოების ანგარიშგება-არჩევნები

მაღარკომების არჩევნები მძლავრი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარდა

(ზიათუხა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

სამხრეთის მხრის რკინა-მადნის პროფკავშირის ჭიათურის რაიონაციაში უდიდესი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა მაღარკომების საანგარიშო - საარჩევნო კრებები. მაღარკომებმა ანგარიში ჩააბარეს თავიანთ ამომრჩევლებს განვლილი მუშაობის შესახებ.

კაგანოვიჩის სახ. მაღაროში საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე გეგმის შესრულების მაღალი მაჩვენებლებით მოვიდენ ამშობდნი ელ. სამხარაძე და ვაგონის გამგორებელი ლ. კაპანაძე. მათ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში გეგმის 150-160 პროცენტით შესრულებას მიაღწიეს. სტახანოველმა პ. მიროტაძემ არჩევნების დღეებში მიცემული გეგმა 200 პროცენტით შეასრულა.

ამ მაღაროში საანგარიშო-საარჩევნო კრება უდიდესი კრიტიკით ჩატარდა. სტახანოველებმა კ. ჭილაძემ, ა. გოშაძემ, გ. გაფრინდაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს მაღარკომის სუსტი მუშაობის შესახებ.

ბერიას სახელობის მაღაროში საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე სასტიკად გააკრიტიკეს მაღარკომის განვლილი მუშაობა. მაღარკომის თავმჯდომარე ა. ხვედელიძე სუსტად მუშაობდა განსაკუთრებით ამის შემდეგ, რაც მას „სხვა“ საბუშაო შეუთავსეს და მაღარკომიდან ხელფასს აღარ იღებდა. ამ მაღაროში სრულიად ჩაშლილია წრეების მუშაობა, სუსტად მუშაობენ პროფორგები. ამის შედეგია, რომ აქ სუსტად იყო დაყენებული პროფმასობრივი მუშაობა. პროფმუშაობაში ჩაბმული არ იყო აქტივი. სხვა მაღაროებთან შედარებით გაიზარდა დისციპლინის დამრღვევთა რიცხვი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ აქ შრომის დისციპლინა დაცული იყო ბევრი ადრე დარღვეული ფაქტი კი ბევრის წევრი.

მაღარკომის შემადგენლობა შეიცვალა.

სტალინის სახელობის მაღაროში პროფკავშირის 683 წევრიდან საანგარიშო - საარჩევნო კრებას 615 დაესწრო. კრებაზე გამოსულმა ცვლის უფროსმა, სტახანოველმა ისაია გელაშვილმა, სტახანოველებმა ა. ტყემალაძემ, გ. ხვედელიძემ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს მაღარკომის განვლილი მუშაობა. აქ 33 პროფორგიდან უძეტესობა სუსტად მუშაობდა, პროფორგმა პ. წივილაშვილმა მხოლოდ საარჩევნო კრებაზე გაიგო, რომ ის პროფორგად იყო არჩეული.

ამ ქარხანა-მაღაროს მუშა-მოსამსახურეთა 90 პროცენტი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, მაგრამ მაღარკომი ყურადღებას არ აქცევდა შეჯიბრების შემოწმებას. თვეობით ჭიანურდებოდა შეჯიბრების შედეგების გამოქვეყნება.

ასეთივე კრიტიკით ჩატარდა მაღარკომის საანგარიშო კრებები ლენინის, ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის ქარხანა-მაღაროებში.

ახალ შემადგენლობაში არჩეულ იქნა მოწინავე ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

საარჩევნო კრებაზე სამხრეთის მხრის რკინა-მადნის პროფკავშირის ჭიათურის ორგანიზაციის მესამე საარაიონო კონფერენციაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა 117 დელეგატი.

ლ. ლოლაძე

საქარხნო კომიტეტის საანგარიშო კრებაზე

(ბათუმი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა ბათუმის სტალინის სახელობის ნავთსახდელი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის საანგარიშო - საარჩევნო კრება, რომელიც 28-30 ოქტომბერს მიმდინარეობდა.

როგორც მომხსენებელმა (ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ორმოცაძე), ისე მოკამათეებმა ილაპარაკეს საწარმოო გეგმების შესრულებაზე, სტახანოველთა რიგების ზრდაზე და ამ საქმეში პროფორგანიზაციის მონაწილეობაზე.

გამოირკვა, რომ ბათუმის ნავთსახდელი ქარხნის კოლექტივმა ბაქოს ქარხნებთან სოცშეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ წარმატებით დაამთავრა 1939 სამეურნეო წელი და სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახ. კომისარიატისა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა მოიპოვა. ბათუმელი ნავთის მუშაკები ამ დროშას დღემდე ჰფლობენ. ამასთან ქარხნის მთელი რიგი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები დაჯილდოებულ იქნენ „ნავთის მრეწველობის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით და ქების ფურცლებით. ამატა სტახანოველთა რიცხვმა. ამჟამად ქარხანაში მომუშავე მუშების 73 პროცენტი სტახანოველებია. ამის შედეგია, რომ ქარხნის ცალკეული საამქროები, ცვლები და დანადგარები წარმატებით ასრულებენ წინასაოქტომბრო სოცშეჯიბრებით აღებულ ვალდებულებას. ასე, მაგალითად, № 4 საამქრომ ასფალტის დამზადების საქმეში აღებული ვალდებულება 31 ოქტომბრისათვის 132 პროცენტით შეასრულა.

აღინიშნა ნაკლიც. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ზუბკოვამ, მიუხნამ, ჯანუაშვილმა, კოვალიოვმა, ბელოუსოვმა და სხვ. აღნიშნეს, რომ საქარხნო კომიტეტის მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში. სუსტად იყო გაშლილი მუშებს შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა. კომიტეტმა ვერ უზრუნველჰყო პროფსაბჭოს X პლენუმის დადგენილების შესაბამისად პროფკავშირულ მუშაობაში ფართო აქტივის ჩაბმა. სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ ქარხნის კლუბში არსებული თვითმმქმედი წრეები, რომლებსაც საჭირო დახმარება და ხელმძღვანელობას ვერ უწევდა ქარხკომი.

კრებაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ საქარხნო კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა საამქროთა პროფორგანიზაციების მუშაობას. პირველ, მეორე და მეოთხე საამქროებში ხშირად პროფკავშირული კრებები მოუმზადებლად ტარდებოდა. № 13 საამქროში თვეობით აჭიანურებდნენ პროფკავშირში მისაღების საბუთების გაფორმებას და პროფსაწევრო ბილეთების გაცემას. კრებაზე გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე ქარხკომის მუშაობა პროფსაწევრო ანარიცხების გეგმის შეუსრულებლობის გამო.

კრებამ საქარხნო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო ღონისძიებანი შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კ. დოგოლაძე

პირუტყვის გამოზამთრებისათვის სუსტად ემზადებიან

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

ხაშურისა და ბორჯომის რაიონების კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა პარტიისა და მთავრობის 1939 წლის 8 ივლისის დადგენილების საფუძველზე წარმატებით ებრძვის მეცხოველეობის განვითარებისათვის—მაგრამ ამ წარმატებებთან ერთად აღსანიშნავია ცალკეულ კოლმეურნეობათა ჩამორჩენა, განსაკუთრებით ფერმების დაკომპლექტებაში, პირუტყვის სადგომების მშენებლობასა და საკვების მომზადებაში. ხაშურის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ფერმები ფორმალურად არის მოწყობილი. მაგალითად, სოფ. კრისევის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — გასიშვილი) დღემდე არცერთი ძროხა არ შეუძენიათ. პატარა ახალსოფელში კოლმეურნეობას არცერთი ღორი არა ჰყავს. აღნიშნულ კოლმეურნეობებს საკვების მოსამარაგებლადაც არაფერი გაუკეთებიათ.

ავიღოთ ბინებით უზრუნველყოფის საკითხი. ხაშურის რაიონის სოფ. ტეზრის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ (თავმჯდომარე — ნ. ბაბიაშვილი), აგრეთვე ზემო და ქვემო ოსიაურის, ჩუმათელეთის, დიდი სატივეს, გომის („ხიდის ყური“) და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში პირუტყვის ბინები დაუმთავრებელია. კერძოდ, ღორის სადგომების მშენებლობა მეტად ჩამორჩა ჯაფინაურის, ჩუმათელეთის და სხვა კოლმეურნეობებში.

ბორჯომის რაიონშიაც სოფ. ტაძრისის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — შ. შაყულაშვილი) წელს 60 ძროხის ტევადობის ბინა უნდა აეგოთ, მაგრამ მშენებლობა 40 პროცენტით არის შესრულებული. ტაბაწყაურისა და მოლითის კოლმეურნეობებში სადგომების მხოლოდ კედლებია ამოყვანილი, ხოლო ვაშლოვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — დ. გოგოლაძე), აგრეთვე ქვაბისხევის წითელი არმიის სახელობის (გ. ხაჭაპურიძე) და ზეშო ჰაჭარაქის ორჯონიკიძის სახელობის (ვ. ლომიძე) კოლმეურნეობებში ჯერ მშენებლობა არც კი დაუწყიათ. ამის შედეგია, რომ რაიონისათვის წელს მეცხოველეობის საბინაო მშენებლობაზე მიცემულ 77.500 მანეთ სესხიდან დღემდე ათვისებულია მხოლოდ 57.000 მანეთი, კერძოდ, საძროხეები და სახბორეები, რომლებიც ბორჯომის რაიონში 2.073 სულისათვის უნდა აიგოს, მზად არის მხოლოდ 500 სულისათვის.

ბორჯომის რაიონის სოფ. ბალანთის, საკირის, ტაძრისის, ტაბაწყურისა და დიდი მიტარბის კოლმეურნეობები სადგომებთან თივის მიზიდვას აგვიანებენ.

ხაშურის რაიონში ჩამორჩენაა სილოსის დამზადებაში. ტეზრის, ყიფიანთუბნის, ვაყის, სურამის, ძვისის, დუმაცხოვის, წაღვლის, ჭალასუბნისა და სხვ. — სულ 19 კოლმეურნეობას დღემდე სილოსის დამზადება არც კი დაუწყია.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ამ რაიონების რაისაბჭოების აღმასკომები და რაიმიწგანები ჯერ კიდევ არასაკმაო ყურადღებას აქცევენ პირუტყვის გამოზამთრების საკითხებს.

აკად. ნ. ვ. ციცინი — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი

1941 წლის გამოფენის შესახვედრად

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ათასნაირად არის დაკავშირებული კოლმეურნე გლეხობასთან. საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ყოველ დღე მოგვდის სასიხარულო ამბავი მოწიფავე მუშაკთა ახალ-ახალი გამარჯვების შესახებ. გამოფენის მონაწილენი უხვი სტალინური მოსავლისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

კოლმეურნეობა „პირველი მაისიდან“ (ლისკის რაიონი, ვორონეჟის ოლქი), რომელიც უკვე ორი წელია გამოფენის მონაწილეა, გვატყობინებენ, რომ ფ. მ. კრაჩკოვის რგოლმა თითო ჰექტარზე 360 ფუთი ხორბლის მოსავალი მიიღო. კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებისა და მზესუმზირის ნატურანაზღაურების წლიური გეგმა.

ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ, 1939 და 1940 წლების გამოფენის მონაწილემ, თითო ჰექტარზე საშუალოდ აიღო 19 ცენტნერი მარცვლეული მოსავალი, ახალ წარმატებას მიაღწია მეცხოველეობის განვითარებაში და ვადამდე შეასრულა თავისი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე; ადგილობრივი ორგანიზაციები ამ კოლმეურნეობას ასახელებენ 1941 წლის გამოფენის კანდიდატად.

1940 წლის გამოფენის ექსპონენტი, ტრაქტორისტი ე. სკლიარა, რომელიც 1939 წლის გამოფენაზე დაჯილდოებულია პატარა გერცხლის მედლით, გვიზიარებს თავის ახალწარმატებას. იგი შეჯიბრებაში ჩაება 1941 წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, სექტემბრის დამდეგისათვის თვლიანი ტრაქტორით თავის ცვლაში რბილად მოხნა 500 ჰექტარი და 470 შრომადღე გამოიმუშავა.

გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის ვაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს კოლმეურნეობათა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კადრების ზრდას, რიგითი კოლმეურნეების წრიდან გამოჰყავს თავიანთი საქმის ახალი შესანიშნავი ოსტატები, გამოჩენილი სტახანოველები. წლევანდლამდე სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებასა და პრაქტიკაში არავის ახსოვს, რომ ერთ ჰექტარზე 50 ცენტნერზე მეტი ჭვავის მოსავალი მიეღოთ. კურსკის ოლქის კრასნაია იარუგის რაიონის კოლმეურნეობა „კომკავშირელის“ მერგოლურმა ე. ბოგაცკაიამ, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, ერთ ჰექტარზე 73 ცენტნერი ჭვავის მოსავალი მიიღო.

ეფრემოველებს უხვი მოსავალი მოჰყავდათ სარეკორდო ნაკვეთებზე, ახლა კი ბრძოლა გაიჩაღეს უმაგალითო მოსავლის მისაღებად დიდრონ ფართობებზე. გ. ნ. მასლოვის რგოლმა კრასნოიარსკის მხარის მკაცრ პირობებში დაამუშავა 215 ჰექტარი და თითო ჰექტარზე 256 ფუთი ხორბალი მიიწია. კოლმეურნეობათა მინუსინსკის ჯგუფში 30 რგოლმა თითო ჰექტარზე მიიღო 40 და მეტი ცენტნერი მოსავალი. კურაგინოს რაიონის არტელ „სტეპნოი პახარის“ რომანჩენკოს რგოლმა თავის ნაკვეთში თითო ჰექტარზე 320 ფუთი ხორბალი მოიყვანა.

უფრო განვითარდა ასფუთოსანთა მოძრაობა. გამოფენის მონაწილეებმა და ექსკურსანტებმა, რომლებიც 1939 წელს ჩვენთან იყვნენ, გატაცებით მიჰბაძეს სტალინგრადელი ბრიგადირების გუროვისა და კოზლენკოვის თაოსნობას. წელს ასფუთიანი მოსავალი მიიღეს ასობით ახალმა მტს-ებმა და რაიონებმა. როსტოვის ოლქის ტაგანროგის რაიონის კოლმეურნეობებში თითო ჰექტარზე საშუალოდ მიიღეს 124 ფუთი მოსავალი. სალსკისა და ცელინის რაიონებმა თითო ჰექტარზე 117 ფუთი პურის მოსავალი მიიღეს. პრორნოკოპსკაიას მტს-მა მის მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებში ჰექტარზე 132 ფუთი მარცვლეული მოიწია.

ასეთი ფაქტები, რაც შეგვიძლია ასობით დავასახელოთ, გვიჩვენებენ, რომ მერმის გამოფენის მონაწილეთა რიცხვი ძლიერ მოიმატებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მონაწილეთა შორის უფრო მეტი იქნებიან მტს-ები, მთელი რაიონები და ოლქები.

მთავარი კომიტეტი შეუდგა 1940 წლის გამოფენის მონაწილეთათვის ჯილდოების მინიშნებას. ეს დიდი და პასუხსაგები სამუშაო ჩვენ ვალდებული ვართ სასწრაფოდ დავამთავროთ და დიპლომები, მედლები და ფულადი პრემიები დავგზავნოთ არაუგვიანეს 10 ნოემბრისა.

ადგილობრივ ამჟამად უკვე მიმდინარეობს 1941 წლის გამოფენის კანდიდატთა შერჩევა. მათ უალრესად მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. და ეს გასაგებია. სოციალისტური მიზიდმოქმედების გამარჯვებათა სრულიად-საკავშირო დათვალიერების მონაწილეობის ღირსნი არიან ნამდვილად ბოლშევიკური კოლმეურნეობანი, რომლებმაც უხვი მოსავალი მოიპოვეს, რომლებიც განუხრელად ავითარებენ მეცხოველეობას და თავისი მეურნეობის სხვა დარგებს და რომლებიც იძლევიან სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულების მაგალითს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისა და კონტრაქტაციის გეგმების სამაგალითო შესრულება უეჭველ მოთხოვნას წარმოადგენს 1941 წლის გამოფენის კანდიდატებისათვის. სერიოზული მნიშვნელობა აქვს კანდიდატთა სწორ შერჩევას აგრონომთა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტთა შორის.

ამჟამადვე გაჩაღებულია ნატურალური ექსპონატების შერჩევა. პავილიონების „მარცვლეულის“, „ბამბის“, „ჭარხლის“ მოწინავეთა და სხვა მრავალთა მიღწევანი უხვად არის დასურათებული იმ კულტურების ახალი ნიმუშებით, რომლებიც სტახანოველებს მოჰყავთ. მნიშვნელოვნად გადიდდა საექსპონატო ნათესების ფართობი. ნატურალური ექსპონატებისა და ნათესების სიუხვე განუზომლად აღიდებს გამოფენის მასალის თვალსაჩინოებასა და ადვილმისაწვდომობას, საშუალებას იძლევა უფრო ღრმად იქნას შესწავლილი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები.

განსაკუთრებით გაძლიერდა ექსპონატების მიღება შემოდგომის დადგომის შემდეგ. უზბეკეთის სსრ მხოლოდ ერთ პავილიონში უკანასკნელ დღეებში ჩამოტანილია 10 ტონაზე მეტი ხილი და ბოსტნეული. რამდენიმე ვაგონი ყურძენი, ატამი და სხვა ხილი გამოგზავნეს თავიანთი პავილიონისათვის სომხეთის კოლმეურნეობებმა. ყოველ დღე მოდის საქართველოს კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ვაშლი, მსხალი, ლიმონი, ბადრიჯანი, საზამთრო, ნესვი.

ყირიმის მცენარეთა საუცხოო საგანძურის — მოლოტოვის სახელობის ბოტანიკური ბაღის სტენდზე გამოფენილია ახალი ჯიშის დიდრონი ატმები. პავილიონის „ყირიმი და ჩრდილოეთი კავკასიის“ მეორე დარბაზში დახვავებულია მწიფე ანანასები, რომელიც სოჭის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ მოიყვანა.

პავილიონ „მოსკოვში“ ყურადღებას იქცევს ახალი მოსავლის 500-800 გრამიანი კარტოფილის ბოლქვები. ეს კარტოფილი მოყვანილია მოსკოვის საგარეუბნო კოლმეურნეობაში ზაფხულზე დარგვის გზით. ამასთან მოსავალმა ჰექტარზე 500-600 ცენტნერს და მეტსაც მიაღწია. რიაზანის კოლმეურნეობებმა საუცხოო მიაჩვენკოვსკური ხახვი გამოგზავნეს. თითო თავი ხახვის წონა 200-250 გრამს აღწევს. ჰექტარის მოსავალი საშუალოდ 2.000 ფუთს შეადგენს.

1941 წლის გამოფენა უფრო უხვად გვიჩვენებს ნატურალურ ექსპონატებს. ხილის, ბოსტნეულის, საზამთროს, ტექნიკური და მარცვლოვანი კულტურების მნიშვნელოვან ნაწილს ახლა სპეციალურ საკავებში ვინახავთ, რათა პავილიონები მომავალ გაზაფხულზე გამოფენის გახსნის პირველი დღეებიდანვე დავაჩვენოთ. ჩვენ მიერ დაგროვებული გამოცდილება საშუალებას გვაძლევს ისე მოვაწყოთ ექსპონატების შენახვა, რომ მათ შეინარჩუნონ მთელი თავისი ფერი და მთელი სიახლე შემდეგ წლამდე.

ვამზადებთ ახალ საექსპონატო ნათესებსაც. უკვე ამწვანებულია ათეული ჯიშის საშემოდგომო კულტურების აღმოცენები. შემოდგომის მზეზე ბიბინებს მრავალწლიანი ხორბლის ზურმუხტოვანი ჯეჯილი, რაც მოსავლის აღების შემდეგ ამოვიდა. მზადდება ნაკვეთები მომავალი წლის საგაზაფხულო ნათესებისათვის. ჩვენ ამოცანად ვისახავთ ჩვენს პატარა საექსპონატო ნაკვეთურებზე მოვიყვანოთ ყველა კულტურის უმაგალითო მოსავალი.

1941 წლის გამოფენის გარეგნული შესახედაობა უფრო მკაფიო და ლამაზი იქნება. გათვალისწინებულია გამოფენის ტერიტორიის შემდგომი კეთილმოწყობა, გაფართოებულ იქნება მწვანე ნარგავები, ბაღები და ყვავილნარები.

მთავარი მუშაობა მოგველის პავილიონების სტენდებზე. უნდა განვაგრძოთ მოწინავეთა მიღწევების ჩვენების მეთოდიკისა და ექსპოზიციის გარდაქმნა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. პავილიონებში „ქიმიზაცია“, „მარცვლეული“ და სხვა გამოფენილი მასალები წინანდელზე უფრო სრულად გვიხატავენ სტახანოველთა აგროტექნიკას, დეტალურად უპასუხებენ კითხვას, თუ როგორ და რა კონკრეტული ხერხით არის მოპოვებული ესა თუ ის მიღწევა.

დაუფასებელ დახმარებას გვიწევს გამოფენის მნახველთა ჩანაწერები, სადაც მოყვანილია შენიშვნები გამოფენის მუშაობის შესახებ. ამ ჩანაწერებს ვსწავლობთ იმისათვის, რომ 1941 წლის გამოფენის თვითეული კუთხე, თვითეული პავილიონის სტენდი უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი გავხადოთ.

1940 წლის გამოფენა, რომელიც განუწყვეტელი წარმატებით მუშაობს, უკვე ეხმაურება სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ახალ-ახალი გამარჯვების მომავალი წლის დათვალიერებას. ათასობით კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მტს-ი პურის ჩაბარებისა და საშემოდგომო სამუშაოს გეგმების დროული შესრულებით სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიგებში დგებიან.

ՀԱՅԿՈՒՐՀԱՏԻ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՈՎԵՏԱԿԱՆ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՄԱՍՆԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ՀԱՆՐԱՅԻՆ ԱՐԽԻՎ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՄԻՋՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԵՎ ՀԱՍԱՐԱԿԱԿԱՆ ԿԱԶՄԱԿԵՐՊՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀՈՒԹՅԱՆ ՈՐՈՇՈՒՄՆԵՐԻ ԵՎ ՀՐԱՄԱՆՆԵՐԻ ՀԱՎԱՔԱԾՈՒ

1940 թվականի հունվարի 10-ից մինչև դեկտեմբերի 31-ը ներառյալ